

მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოების მეთოდით (კვარტალური)

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტი
1.3. საკონტაქტო პირი	მაკა კალანდარიშვილი
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტის უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	mkalandarishvili@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (302)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2025 წ. 19 ივნისი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2025 წ. 19 ივნისი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2025 წ. 19 ივნისი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა	
3.1. მონაცემების აღწერა	
საქართველოს ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროგაერთიანების სტატისტიკური სამსახურის (ევროსტატის), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის (2008 SNA) სტანდარტული მეთოდოლოგია. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ). მშპ დათვლილი წარმოების მეთოდით გვიჩვენებს დროის გარკვეულ პერიოდში (წელიწადი, კვარტალი) ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულებას საბაზრო ფასებში.	
3.2. კლასიფიკაციის სისტემა	
• ეროვნული ანგარიშების სისტემა 2008 (2008 SNA); • ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი (სეკ 006-2016) (შემუშავებულია NACE Rev. 2 ბაზაზე); • პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკაცია საქმიანობის სახეობათა მიხედვით – სეკ (CPA 2008); • დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაცია (COICOP); • საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია; • მთავრობის ფუნქციების კლასიფიკაცია (COFOG).	
3.3. სექტორის მოცვა	
მთელი ეკონომიკა ინსტიტუციური სექტორებისა და ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით.	
3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები	
მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) არის დროის გარკვეულ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულება საბაზრო ფასებში. მთლიანი გამოშვება არის წელიწადის ან კვარტალის განმავლობაში ეროვნული ეკონომიკის მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ერთობლიობა საბაზრო ფასებში. მთლიანი გამოშვების შეფასება მოცემულია საქონლისა და მომსახურების მწარმოებლის საბაზრო ფასებში, რითაც ფაქტობრივად ხორციელდება წარმოებული საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, პროდუქციაზე დარიცხული გადასახადების ჩათვლელად.	

შუალედური მოხმარება განისაზღვრება როგორც იმ საქონლისა და მომსახურების მოცულობა, რომელიც მოხმარებულია დანახარჯების სახით წარმოების პროცესში. მშპ-ის რეალური ზრდის ინდექსები ასახავენ ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით დამატებული ღირებულების რეალური ზრდის მაჩვენებლებს საანგარიშო პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მშპ-ის დეფლატორი არის გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმოებული საბოლოო პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) ფასების ცვლილების საზომი. საერთაშორისო მეთოდოლოგია მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას ითვალისწინებს დაუკვირებადი ეკონომიკის შეფასებას. დაუკვირებადი ეკონომიკა ფასდება საქმიანობის სახეების მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის არსებულ სტანდარტულ წყაროებში სხვადასხვა მიზეზით მოუცველი საქმიანობის, პროდუქციის, შემოსავლების, მოხმარების ან სხვა ეკონომიკური ოპერაციების მოცულობით. მისი შეფასებისათვის გამოიყენება როგორც პირდაპირი კვლევის, ასევე არაპირდაპირი შეფასებები.
3.5. სტატისტიკური ერთეული • ფინანსური და არაფინანსური კორპორაციები; • სახელმწიფო მმართველობის ორგანოები; • შინამეურნეობები; • შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები (შმაკო).
3.6. სტატისტიკური პოპულაცია ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორია.
3.7. საანგარიშო არეალი საქართველო (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა).
3.8. დროის მოცვა • დროთი მწკრივები ეროვნული ანგარიშების სისტემა 1993 წლის (1993 SNA) მეთოდოლოგიით ხელმისაწვდომია 1996-2018 წლებისთვის; • დროთი მწკრივები ეროვნული ანგარიშების სისტემა 2008 წლის (2008 SNA) მეთოდოლოგიით ხელმისაწვდომია 2010 წლიდან.
3.9. საბაზო პერიოდი 2019 წელი.
4. ზომის ერთეული მილიონი ლარი; ლარი; მილიონი აშშ დოლარი; აშშ დოლარი; %.
5. საანგარიშო პერიოდი კვარტალი.
6. ინსტიტუციური მანდატი
6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf
6.2. მონაცემთა გაზიარება მემორანდუმები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან და ეროვნულ ბანკთან.
7. კონფიდენციალურობა
7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა 1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“: • კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სტატისტიკური კონფიდენციალურობა და მონაცემების ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოს მიერ შეგროვებული ან მიღებული ფიზიკური ან იურიდიული პირის შესახებ

პერსონალური მონაცემები ან/და ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური უნდა იყოს და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული.

- კანონის 34-ე მუხლის (მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ეს მონაცემები სტატისტიკური ერთეულის პირდაპირი იდენტიფიცირების ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, აგრეგირებული მონაცემები კონფიდენციალურად მიიჩნევა, თუ: ა) ეს მონაცემები არაუმეტეს 3 სტატისტიკურ ერთეულს ეხება და აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია ერთ-ერთის არაპირდაპირი იდენტიფიცირება ან/და მჟღავნდება ამ ერთეულის/ერთეულების შესახებ კონფიდენციალური მონაცემები. 3-ზე მეტი სტატისტიკური ერთეულის შესახებ აგრეგირებული მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ მონაცემებად საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ საჭიროა ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა; ბ) ეს მონაცემები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოებად არის მიჩნეული. 2. კონფიდენციალური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონის შესაბამისად ექსკლუზიურად სტატისტიკის წარმოებისთვის. 3. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ ინფორმაციად, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციისა. 4. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებული ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციად არის მიჩნეული, არ ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად. 5. კონფიდენციალური ინდივიდუალური მონაცემების გამოქვეყნება შესაძლებელია, თუ არსებობს სტატისტიკური ერთეულის წერილობითი თანხმობა ამ მონაცემების გამოქვეყნებაზე. 6. კონფიდენციალური მონაცემების გაცემა, გავრცელება ანარასტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია.
- კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების პირადი, აკადემიური, სამეცნიერო ან სხვა საქმიანობისთვის გამოყენება და გავრცელება.

<https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf>

2. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა“
https://www.geostat.ge/media/60538/konfidencialurobis-politika_2024.pdf
3. „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი“
<https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf>
4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437>

7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა

- კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.
- საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

8. გამოქვეყნების პოლიტიკა

8.1. გამოქვეყნების კალენდარი

მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის საფუძველზე შემუშავებული კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა

<https://www.geostat.ge/ka/calendar>

8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა

მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

9. გავრცელების სიხშირე

კვარტალური.

10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა
10.1. პრეს-რელიზები
პრეს-რელიზი კვარტალური მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ: https://geostat.ge/ka/news
10.2. პუბლიკაციები
სტატისტიკური კრებული „საქართველოს ეროვნული ანგარიშები“ ქართულ და ინგლისურ ენებზე, ელექტრონული ვერსია: https://geostat.ge/ka/single-categories/113/sakartvelos-mtliani-shida-produkti
10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა
მონაცემები MS Excel-ის ცხრილების სახით ხელმისაწვდომია საქსტატის ოფიციალურ ვებსაიტზე სტატისტიკური ინფორმაციის ნაწილში „ეროვნული ანგარიშების“ განყოფილებაში „მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)“-ს ჩანართში: https://geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp მონაცემები PC-Axis-ის ბაზის სახით ხელმისაწვდომია საქსტატის ოფიციალურ ვებსაიტზე მონაცემთა ბაზები PC-Axis ნაწილში „ეროვნული ანგარიშები“-ს განყოფილებაში „მთლიანი შიდა პროდუქტი“-ს ჩანართში: https://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database
10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა
-
10.5. სხვა
-
10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე
მეთოდოლოგიის დოკუმენტაცია განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე: https://geostat.ge/ka/modules/categories/119/methodologia-erovnuli-angarishebi
10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ
-

11. ხარისხის მართვა
11.1. ხარისხის უზრუნველყოფა
სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 თავით „ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).
11.2. ხარისხის შეფასება
საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს, თვითშეფასების გამოკვლევას და აფასებს სტატისტიკური პროდუქტებისა და პროცესების ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. საქსტატის ხარისხის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/44379/QP_Geostat_GE.pdf

12. შესაბამისობა
12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები
მომხმარებელთა ძირითად ჯგუფებს წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანოები, მეცნიერ-მკვლევრები, სასწავლო დაწესებულებები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ნებისმიერი მომხმარებელი, ვინც დაინტერესებულია საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციებით, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებითა და პროგნოზირების საკითხებით.
12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება
2023 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების

გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service
12.3. სისრულე მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას მოცულია როგორც აღრიცხული, ისე აღურიცხავი ეკონომიკის გამოშვება და შეფასების მეთოდები შესაბამისობაშია საერთაშორისო მეთოდოლოგიით დადგენილ სტანდარტებთან.
13. სიზუსტე და სანდოობა
13.1. ზოგადი სიზუსტე -
13.2. შერჩევითი ცდომილება -
13.3. არაშერჩევითი ცდომილება -
14. დროულობა და პუნქტუალურობა
14.1. დროულობა • მშპ-ის კვარტალური წინასწარი მონაცემები თავდაპირველად ქვეყნდება საანგარიშო კვარტალის დასრულებიდან მე-80 დღეს; • გასული წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ, იმავე წლის ოთხი კვარტალის მაჩვენებლების დაზუსტებასთან ერთად ხორციელდება მიმდინარე წლის პირველი და მეორე კვარტალების მაჩვენებლების გადაანგარიშება; • საანგარიშო წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ საბოლოოდ ზუსტდება კვარტალური მაჩვენებლები და მათი გამოქვეყნება ხდება საანგარიშო წლის შემდგომი წლის ნოემბერში. თუ ინფორმაციის გავრცელების დღე ემთხვევა უქმე დღეს, მაშინ ინფორმაცია ვრცელდება უახლოეს სამუშაო დღეს.
14.2. პუნქტუალურობა მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა
15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით როგორც ქვეყნის, ისე რეგიონულ დონეზე.
15.2. შესადარისობა – დროში მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში.
15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის ეროვნული ანგარიშების სხვადასხვა პერიოდულობის და დეტალიზების შემდეგი მაჩვენებლები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან: წლიური ეროვნული ანგარიშები, კვარტალური ეროვნული ანგარიშები, რესურსებისა და გამოყენების ცხრილები. ეროვნული ანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი ძირითადი სტატისტიკური წყაროები: ბიზნეს სტატისტიკა, მოკლევადიანი სტატისტიკა, დასაქმების სტატისტიკა. აღსანიშნავია, რომ წყაროებში გამოყენებული ცვლადების განმარტება ხშირად განსხვავდება ეროვნული ანგარიშების კონცეფციებისგან, რის გამოც ხდება დამატებითი კორექტირება ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.
15.4. თანამიმდევრულობა – შიდა ეროვნული ანგარიშების სხვადასხვა პერიოდულობის და დეტალიზების შემდეგი მაჩვენებლები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან: წლიური ეროვნული ანგარიშები, კვარტალური ეროვნული ანგარიშები, რესურსებისა და გამოყენების ცხრილები.
16. დანახარჯები და დატვირთვა სამუშაოები ტარდება საქსტატის ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ და არ მოითხოვს დამატებით დანახარჯებს.

17. მონაცემთა გადასინჯვა
17.1. მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა
სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/60949/Revision-policy-and-error-correction_2024.pdf
17.2. მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა
სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკური მწკრივები დროთა განმავლობაში საჭიროებს დაზუსტებას. ამის საჭიროება შეიძლება დადგეს ზოგადად მეთოდოლოგიის ცვლილების ან რაიმე კონკრეტული მონაცემთა წყაროს გაუმჯობესების შედეგად. ახალი გამოკვლევის ჩატარების შედეგად მიღებული შედეგები შესაძლოა მკვეთრად განსხვავდებოდეს წინა პერიოდის მაჩვენებლებისაგან. ამ შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება ახალ მონაცემებს, მაგრამ დინამიკური მწკრივის შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა წინა პერიოდების შესწორებაც. დღეისათვის მონაცემთა დაზუსტება ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: • მშპ-ის კვარტალური წინასწარი მონაცემები თავდაპირველად ქვეყნდება საანგარიშო კვარტალის დასრულებიდან მე-80 დღეს; • გასული წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ, იმავე წლის ოთხი კვარტალის მაჩვენებლების დაზუსტებასთან ერთად ხორციელდება მიმდინარე წლის პირველი და მეორე კვარტალების მაჩვენებლების გადაანგარიშება; • საანგარიშო წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ საბოლოოდ ზუსტდება კვარტალური მაჩვენებლები და მათი გამოქვეყნება ხდება საანგარიშო წლის მომდევნო წლის ნოემბერში. დინამიკური მწკრივები დაზუსტდა 2008 SNA მეთოდოლოგიაზე გადასვლის პარალელურად. 2008 SNA მეთოდოლოგიაზე გადასვლის პარალელურად განხორციელდა ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის NACE Rev. 2-ის დანერგვა ეროვნულ ანგარიშებში. ასევე, დაზუსტდა ცალკეული დარგების გამოშვების გაანგარიშების მეთოდოლოგიაც, რამაც გამოიწვია დროითი მწკრივის განახლების საჭიროება. 2019 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა მეთოდოლოგიის ცვლილებებით გამოწვეული განახლებული მონაცემთა მწკრივები. 2024 წლის თებერვალში განხორციელდა მშპ-ს და ეროვნული ანგარიშების მონაცემების გადაანგარიშება (2010-2023 წლები). მონაცემთა ისტორიული მწკრივის 2024 წელს გადასინჯვა წარმოადგენდა ევროსტატის, UNECE-ს და EFTA-ს მიერ განხორციელებული სტატისტიკის სისტემის სტრატეგიული შეფასების ერთ-ერთ რეკომენდაციას. აღნიშნული უზრუნველყოფს შესაბამისობას ევროპის მონაცემთა გადასინჯვის ჰარმონიზებულ პოლიტიკასთან (Harmonized European Revision Policy).
18. სტატისტიკური დამუშავება
18.1. პირველადი მონაცემები
მონაცემთა წყაროს წარმოადგენს საქსტატის დეპარტამენტების მიერ განხორციელებული კვლევები და ადმინისტრაციული მონაცემები. საქსტატის შიდა წყაროებიდან მიღებული მონაცემები: • მონაცემები არაფინანსური კორპორაციების ეკონომიკური საქმიანობის შესახებ (საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა); • მონაცემები შინამეურნეოების ეკონომიკური საქმიანობის შესახებ და მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის ამსახველი მაჩვენებლები (საქსტატის სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის შინამეურნეოების ინტეგრირებული გამოკვლევა და სტატისტიკური გამოკვლევა – მონაცემები შრომის შესახებ); • სამომხმარებლო ფასების (CPI), სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების (PPI), მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების და სატვირთო გადაზიდვებზე მწარმოებელთა ფასების ინდექსები (საქსტატის ფასების სტატისტიკის დეპარტამენტის ყოველთვიური გამოკვლევა); • სოფლის მეურნეობის სფეროში შექმნილი პროდუქცია (საქსტატის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სტატისტიკის დეპარტამენტის სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა). მონაცემთა გარე წყაროები: • ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო); • ეროვნული და კომერციული ბანკების მაჩვენებლები (საქართველოს ეროვნული ბანკი); • სადაზღვევო კომპანიების მაჩვენებლები (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური).
18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე

ყოველთვიური, კვარტალური, წლიური.
18.3. მონაცემთა შეგროვება
საქსტატის დეპარტამენტების მონაცემთა ბაზები და ადმინისტრაციული წყაროების მიერ მოწოდებული ცხრილები.
18.4. მონაცემთა კონტროლი
ცალკეულ შემთხვევებში მონაცემთა სისწორის გადამოწმება ხდება მონაცემთა წყაროსთან.
18.5. მონაცემთა გაანგარიშება
ინფორმაციის შიდა და გარე წყაროებიდან მიღებული მონაცემები მუშავდება ეროვნული ანგარიშებისათვის საჭირო ფორმატში. მომდევნო ეტაპზე ხორციელდება მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატული მაჩვენებლების გაანგარიშება. წარმოების მეთოდით მშპ უდრის ეკონომიკური საქმიანობის სახეების (ან ინსტიტუციური სექტორების) მიერ წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულებისა და პროდუქციაზე გადასახადებსა (დამატებული ღირებულების გადასახადი, იმპორტის გადასახადი, აქციზის გადასახადი) და სუბსიდიებს შორის სხვაობის ჯამს. მთლიანი დამატებული ღირებულება წარმოადგენს წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებასა (მთლიანი გამოშვება) და შუალედურ მოხმარებას შორის სხვაობას. პროდუქციის გამოშვება საბაზისო ფასებში=ბრუნვა+კაპიტალიზებული საქონელი და მომსახურება-დანახარჯები გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებზე+სუბსიდიები პროდუქტებზე +/-დაუმთავრებელი წარმოების მოცულობის ცვლილება+/-მზა პროდუქციის მარაგების ცვლილება+/-გადასაყიდად განკუთვნილი საქონლის მარაგების ცვლილება. ვაჭრობაში, საშუაშალო საქმიანობაში, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდებაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში) პროდუქციის გამოშვება არის საწარმოს მიერ რეალიზებული საქონლისა (მომსახურების) და მისი ნასყიდობის (შემენის) ღირებულებებს შორის სხვაობა; შუალედური მოხმარება=საქონლისა და მომსახურების ყიდვები-საქონლისა და მომსახურების ყიდვები უცვლელ მდგომარეობაში გადაყიდვისათვის+/-ნედლეულის და მასალების, სხვა შრომის საგნების მარაგების ცვლილება. მშპ-ის მუდმივ ფასებში გადაყვანა წარმოების მეთოდით გაანგარიშებული მაჩვენებლების მიხედვით ხდება ორმაგი დეფლირების გზით. ეს ხორციელდება ფასების შესაბამისი ინდექსების მეშვეობით, საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიანი გამოშვებისა და შუალედური მოხმარების ცალ-ცალკე დეფლირებით და შემდეგ მათ შორის სხვაობის გამოთვლით. მშპ-ის დეფლატორი წარმოადგენს ნომინალურ და რეალურ მშპ-ს შორის თანაფარდობას.
18.6. მოსწორება
პირველადი სახით მიღებული მონაცემების კორექტირება ხორციელდება ჩრდილოვანი ეკონომიკის გაანგარიშების მიზნით. სეზონურობის ფაქტორის და მასთან დაკავშირებული მერყეობების გამოსარიცხად ხორციელდება მუდმივ ფასებში გაანგარიშებული კვარტალური მშპ-ს სეზონური შესწორება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. დინამიკური მწკრივების სეზონური შესწორებისას გამოიყენება „Tramo/Seats“ მეთოდი, რომელსაც ითვალისწინებს ავტომატიზებული პროგრამა „JDemetra +“.
19. კომენტარი
-